საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ლ . ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.04.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 051/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ქ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ქ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2019 წლის 18 აპრილს საჩივრით მომართა ლ . ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ქ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ა. ქ.-ს 8 წელია იცნობს, ადვოკატი მისი მაღაზიის ხშირი კლიენტი და შორეული ნათესავია, თუმცა პირველად მათ შორის, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც საჩივრის ავტორის მეუღლე დააკავეს და ამ ფაქტთან დაკავშირებით სთხოვა ა. ქ.-ს დახმარება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მას ადვოკატის მომსახურებისთვის ურთიერთობის დასაწყისშივე ჰქონდა გადახდილი თანხა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, როდესაც მისი მეუღლე დააკავეს, ა. ქ.-ს შეჩერებული ჰქონდა ადვოკატის სტატუსი, რის გამოც მან სხვა ადვოკატს მიაბარა ეს საქმე, თუმცა რაღაც პერიოდის შემდეგ, ა. ქ.-მ სტატუსი აღიდგინა და კვლავ განაგრძო ლ . ქ.-სთან და მის მეუღლესთან საადვოკატო ურთიერთობა. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ის კმაყოფილი არ არის მისი მეუღლის საქმეში ადვოკატის საადვოკატო მოქმედებებით.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ა. ქ.-სა და მას შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა მეორედ 2016 წლის მარტში დაიწყო, მას შემდეგ, რაც იგი თაღლითობის მსხვერპლი გახდა.

1.5 ლ . ქ.-ს განმარტებით, ა. ქ. სწორედ იმ პერიოდში დაუკავშირდა მას, როდესაც თაღლითობის გამო ჰქონდა მძიმე ემოციური მდგომარეობა. თავიდან ადვოკატმა მისი მეუღლის საქმიდან გამომდინარე დაურეკა და მოიკითხა, რა დროსაც საჩივრის ავტორმა მეგობრულად მოუყვა თავისი ამბავი. ა. ქ. მას დახმარებას შეპირდა და მეორე დღეს მასთან სახლში მივიდა. ლ . ქ.-ს განმარტებით, ადვოკატმა საწყის ეტაპზე მხოლოდ ორდერის ფული მოსთხოვა და დაამშვიდა, რომ საქმეს მოაგვარებდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მხოლოდ საქმის მასალების მიწოდება ევალებოდა გამომძიებლისათვის და საქმის კლიენტისათვის სასარგებლოდ დამთავრება, რადგან მას ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები და ჰყავდა ასევე ბევრი მოწმე, რითაც მარტივად უნდა დაემტკიცებინა მისი უდანაშაულობა, თუმცა, ადვოკატს ეს ყოველივე გამომძიებლამდე არც კი მიუტანია.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა გამომძიებელს თავიდანვე არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, არასწორად დაწერილი განცხადების სახით, კლიენტის უკმაყოფილებაზე კი უპასუხა, რომ მან კლიენტზე უკეთ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ა. ქ. მას აიმედებდა თავისი გავლენით პროკურატურასთან და ზემდგომ პირებთან, რაც ხელს შეუწყობდა საქმის დროულად და კლიენტის სასარგებლოდ დასრულებას.

1.9 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი, სარგებლობდა მისი სტრესული მდგომარეობით და ატარებდა თავისივე ნაცნობ მკითხავებთან, რომლებიც ეუბნებოდნენ კონკრეტულ თარიღს, თუ როდის უნდა დასრულებულიყო საქმე, ადვოკატი კი მუდმივად სთხოვდა თანხას. საჩივრის ავტორი, ადვოკატს მისი მოთხოვნის შესაბამისად უხდიდა თანხას, თუმცა ადვოკატმა მოითხოვა სამედიცინო პროცედურის თანხის გადახდაც.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატმა მოსთხოვა მისი ერთადერთი ქონების თავის სახელზე გადაფორმება, რათა იპოთეკაში ჩაედო და გამოეყენებინა პირადი სამედიცინო საჭიროებისათვის, ამის გამო და ასევე რადგან ადვოკატს 1 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია, მათ შორის მოხდა უთანხმოება და ლ . ქ.-მ გადაწყვიტა სხვა ადვოკატის მოძებნა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მისი ახალი ადვოკატის დახმარებით გაარკვია, რომ ადვოკატს არ ჰყავდა არც ერთი მოწმე დაკითხული და ასევე, არ არსებობდნენ არანაირი ზემდგომი პირები, რომლებიც დაეხმარებოდნენ.

1.12 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის 2019 წლის 06 ივნისის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატმა მასთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ დაიწყო ურთიერთობა მის მოწინააღმდეგე მხარესთან და ადვოკატი ლ. ქ.-ზე საზოგადოებაში საუბრობს უარყოფითად.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც ადვოკატს მოსთხოვა თანხის დაბრუნება, მან დაუწყო შანტაჟი და მუქარა. რა თქმა უნდა, მას თანხა არ დაუბრუნებია, თუმცა საჩივრის ავტორი თანხის დაბრუნებაზე პრეტენზიას არ აყენებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ქ.-მ 2019 წლის 10 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ ლ. ქ.-ს იცნობს წლების განმავლობაში და მას არაერთხელ მიუმართავს იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით, ასევე, ისინი არიან შორეული ნათესავები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის მარტის თვემდე ლ . ქ.-სთან 2 წლის განმავლობაში ურთიერთობა არ ჰქონია, ლ . ქ. მას თავად დაუკავშირდა და უამბო თავისი სამართლებრივი პრობლემის შესახებ.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ქ.-ს მიერ განმარტებული საქმე იყო მოცულობითი და ამავდროულად მტკიცებულებებს მოკლებული, მაგრამ რადგან ამ საქმესთან დაკავშირებით ინტერესი გაუჩნდა, დაიწყო საქმის მასალების მოპოვება.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ქ.-ს განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატს ევალებოდა საგამოძიებო ორგანოში საქმის მასალების მიწოდება და იმპერატიული მოთხოვნით საქმის მის სასარგებლოდ დამთავრება, გაუგებარია, რადგან ადვოკატის კომპეტენციას მხოლოდ საკურიერო მომსახურება არ შეადგენდა და ასევე, ის კლიენტს ვერ მისცემდა გარანტიას საქმის შედეგზე.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ქ.-ს განცხადება არასწორია იმასთან დაკავშირებით, თითქოს საგამოძიებო ორგანოში ადვოკატის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან აღნიშნული განცხადების დეტალები შეადგინეს ერთად, რასაც ლ. ქ. გაეცნო, დაეთანხმა და ხელი მოაწერა. ასევე, კლიენტს არაერთხელ ჰქონდა შესაძლებლობა დაეზუსტებინა განცხადებაში მითითებული გარემოებები და მიეთითებინა მტკიცებულებებზე საგამოძიებო ორგანოებისათვის. ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისი ყველა საადვოკატო მოქმედება შეთანხმებული იყო კლიენტთან და შეესაბამებოდა მის ნებას.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ საფუძველს მოკლებულია კლიენტის პრეტენზია ადვოკატის მიერ მკითხავთან წაყვანასთან დაკავშირებით.

2.7 ადვოკატის განცხადებით, კლიენტის მიერ გადახდილია 500 ლარი, რაზეც შედგა შესაბამისი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება. ასევე, ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო წარმატების ჰონორარი, სადავო თანხის 10%-ის ოდენობით. ადვოკატი დამატებით მიუთითებს, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო იმ იდეით, რომ ის თავის კლიენტს ფინანსურ შეღავათს გაუწევდა. კლიენტს თავისი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისთვის ეტაპობრივად უნდა გადაეხადა ჰონორარის თანხა იმ ოდენობით, რისი საშუალებაც ექნებოდა.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე არაერთი მოქმედება აქვს შესრულებული, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეებთან მათი ადვოკატების თანდასწრებით შეხვედრები და საქმესთან დაკავშირებით მოლაპარაკებების წარმოება. ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ქ.-ს საქმეში, სასამართლოში წარდგენილი იყო ყველა ის დოკუმენტი, რომლის მოპოვების, დამუშავებისა და წარდგენის შესაძლებლობაც მას გააჩნდა. ადვოკატი განმარტავს, რომ მას არანაირ ზემდგომთან არ ჰქონდა შემხებლობა და კლიენტს მათი გავლენით არ აიმედებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ თითქმის ყოველდღიურად უწევდა სიარული პროკურატურაში ლ. ქ.-ს საქმესთან დაკავშირებით, ასევე ხშირი კონტაქტი ჰქონდა გამომძიებელთან და პროკურორთან, რაც საქმის სირთულით იყო განპირობებული.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ საქმის საჭიროებისათვის საჭირო გახდა ბათუმში ვიზიტი და რადგან კლიენტს არ ჰქონდა ადვოკატის ტრანსპორტირების შესაძლებლობა, იმისთვის, რომ კლიენტის ინტერესს ზიანი არ მისდგომოდა, ის საკუთარი ხარჯებით ჩავიდა ბათუმში, რასაც დასჭირდა 300-350 ლარი. ამავე მგზავრობისას დაუზიანდა ავტომობილი, რომლის შეკეთებას დასჭირდა 200 ლარი.

2.10 ადვოკატის განმარტებით, ჰონორარის თანხა, რომელიც ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული, გახარჯულია საქმის მიმდინარეობის პროცესში. ამასთან, მან კლიენტს შეთანხმებული საქმის გარდა, არაერთ საქმეზე გაუწია მომსახურება.

2.11 ადვოკატის განმარტებით, ლ . ქ.-სთან ადვოკატ-კლიენტის უერთიერთობა მას შემდეგ დასრულდა, როდესაც სამოქმედო გეგმა კლიენტთან ვეღარ შეათანხმა, პოზიციები ერთმანეთს არ დაემთხვა.

2.12 ადვოკატი განმარტავს, მას კლიენტისათვის არ მოუთხოვია ქონების იპოთეკით დატვირთვა და არებული თანხის მისთვის გადაცემა სამედიცინო პროცედურისათვის. ეს იმ ფაქტით დასტურდება, რომ ლ . ქ.-ს პირად საკუთრებაში არ ჰქონდა რაიმე სახის ქონება.

2.13 2019 წლის 30 ივლისის ეთიკის კომისიის სხდომაზე, ადვოკატმა დაადასტურა და განავრცო წერილობით განმარტებაში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები.

3. ა. ქ.-ს მოწმის ე. გ.-ს ახსნა-განმარტება:

3.1 2019 წლის 30 ივლისის სხდომაზე მოწმემ, ე. გ.-მ განმარტა, რომ ის არის ადვოკატი, ა. ქ.-ს იცნობს საერთო პროფესიიდან გამომდინარე და ის წარმოადგენდა ლ . ქ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესს.

3.2 მოწმის განმარტებით, მასთან მივიდა ლ. ქ. ადვოკატ ა. ქ.-სთან ერთად და შესთავაზეს მორიგების გარკვეული პირობები. საქმის დეტალებს არ ჩასძიებია, თუმცა კოლეგიალობის თვალსაზრისით, ა. ქ.-ს შეჰპირდა მოლაპარაკების წარმოებას თავის კლიენტთან. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ კლიენტის ინტერესებში არ შედიოდა მორიგება, საბოლოოდ მხარეებს შორის მორიგება არ შედგა.

3.3 მოწმე განმარტავს, რომ ლ . ქ.-მ ა. ქ. წარუდგინა როგორც მისი ადვოკატი და უთხრა, რომ აბსოლუტურად ენდობოდა მას და ნებისმიერი ინფორმაცია მიეწოდებინა ა.-სთვის. ამ საუბრიდან გამომდინარე, მოწმის გადმოცემით, ადვოკატსა და კლიენტს ჰქონდათ შეთანხმებული ურთიერთობა.

3.4 მოწმის განმარტებით, შეხვედრის დროს მათ შორის ბევრ საკითხზე წარიმართა საუბარი, სწორედ ამ საუბრიდან გამომდინარე იგი ფლობს ინფორმაციას, რომ ა. ქ.-ს ლ . ქ.-ს მხოლოდ ერთი კონკრეტული საქმე არ ჰქონდა აღებული და ის რამდენიმე საქმეს ერთდროულად აწარმოებდა.

4. ა. ქ.-ს მოწმის ზ. გ.-ს ახსნა-განმარტება:

4.1 2019 წლის 30 ივლისის სხდომაზე მოწმემ ზ. გ.-მ განმარტა, რომ ის, როგორც ლ . ქ.-ს მოწინააღმდეგე მხარის ინგა პატარაიას ადვოკატი, ადვოკატ ა. ქ.-ს რამდენჯერმე შეხვედა, შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა მხარეთა მორიგება. მიუხედავად მცდელობისა, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

4.2 მოწმე დამატებით განმარტავს, რომ ა. ქ. გაიცნო აღნიშნულ საქმესთან დაკაშირებით და სხვა საქმეში ის არ შეხვედრია.

IV სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი ა. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

5.2 ლ . ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 18 აპრილს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2019 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ა. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ა. ქ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი არ აძლევდა კვალიფიციურ იურიდიულ რჩევას; ადვოკატმა გამომძიებელს არასწორი ინფორმაცია მიაწოდა - არასწორად დაწერილი განცხადების სახით; ადვოკატმა, საჩივრის ავტორთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ურთიერთობა დაიწყო მის მოწინააღმდეგე მხარესთან; ადვოკატი საზოგადოებაში საჩივრის ავტორს უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს.

7.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ა. ქ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

7.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

7.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

7.3 ადვოკატმა თავის საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

7.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს

გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

7.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ლ . ქ. და ა. ქ. შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი ლ . ქ.-ს მომსახურებას გაუწევდა სისხლის სამართლის საქმეზე, საგამოძიებო ორგანოებში.

7.6 მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციების და საქმის მასალების თანახმად, ადვოკატ ა. ქ.-ს მიერ განხორციელებულია შემდეგი მოქმედებები: მას შემდეგ რაც ლ . ქ.-მ დახმარების თხოვნით მიმართა, ადვოკატ-კლიენტს შორის დაიდო წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების დადების შემდეგ, ადვოკატმა დაიწყო საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მასალების მოპოვება (ადვოკატმა, საჯარო რეესტრიდან გამოითხოვა ამონაწერი უძრავი ქონების საკუთრებასთან დაკავშირებით, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ; იხ. კანცელარიის მიღების ბარათები), რომელთა მოპოვების შემდეგ ადვოკატმა განცხადებით მიმართა პროკურატურას. ადვოკატის მიერ საგამოძიებო ორგანოში შეტანილი განცხადება და მტკიცებულებები, კლიენტთან იყო შეთანხმებული; ადვოკატს უწევდა საგამოძიებო ორგანოებთან სისტემატური კომუნიკაცია; ადვოკატს საქმის საჭიროებიდან გამომდინარე დასჭირდა ქ. ბათუმში ვიზიტი; ადვოკატი კლიენტის საქმეზე არაერთელ შეხვდა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარეთა ადვოკატებს მოსალაპარაკებლად, რაც დასტურდება მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატების ე. გ.-ს და ზ. გ.-ის ახსნა-განმარტებებით. აღნიშნული მოწმეები ასევე ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ადვოკატ ა. ქ.-სა და მისი კლიენტის - ლ. ქ.-ს პოზიციები იყო შეთანხმებული.

7.7 ადვოკატის საქმეში ჩართულობა არ ყოფილა ფორმალური: ადვოკატის საადვოკატო მოქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესის გასატარებლად, ადვოკატი ამზადებდა იურიდიულ დოკუმენტებს; აქტიურად ურთიერთობდა საგამოძიებო ორგანოსთან და აწვდიდა მათ მტკიცებულებებს; შესაბამისად, ადვოკატს არ დაურღვევია საქმის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად წარმოების ეთიკური ვალდებულება..

7.8 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატმა ა. ქ.-მ მასთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, სხვა საქმეზე დაიწყო მის მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ნორმათა გადაცდომას.

7.9 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიერ საზოგადოებაში უარყოფითად მოხსენიების შესახებ და განმარტა, რომ რადგან ადვოკატი აღნიშნულ პრეტენზიას უარყოფს და ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს, მხოლოდ საჩივრის ავტორის პოზიცია ვერ გახდება იმ ვარაუდის საფუძველი, რომ ადვოკატმა ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

7.10 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით იმსჯელა აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატს უფლება არ აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“.

7.11 საქმის 100%-ით მოგების გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“

7.12 გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით მხარეთა პოზიციები განსხვავებულია. ადვოკატი უარყოფს კლიენტისათვის გარანტიის მიცემის ფაქტს. საჩივრის ავტორს თავისი პოზიციის გარდა, არ წარმოუდგენია ამ ფაქტის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება. შესაბამისად, მხარეთა პოზიციებისა და წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, ადვოკატ ა. ქ.-ს კლიენტისათვის საქმის წარმატებით დასრულების გარანტია არ მიუცია.

7.13 საპროცესო კოლეგიამ მომჩივანის პრეტენზიაზე საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების თანხის გამოუმუშავებელი ნაწილის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებით, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

7.14 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური

ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე N038/16).

7.15 საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების შესახებ არსებობდა წერილობითი ფორმით, სადაც მხარეების მიერ განისაზღვრა იურიდიული მომსახურების საფასური. ეთიკის კომისიაში საქმის საპროცესო განხილვისას ორივე მხარემ დაადასტურა, რომ შეთანხმებულები იყვნენ ჰონორარის 500 (ხუთასი) ლარის გადახდაზე, ხოლო საქმის დადებითად დასრულების შემდეგ ჰონორარი განისაზღვრა სადავო თანხის 10% -ით. საჩივრის ავტორმა საწყის ეტაპზე გადაიხადა 500 ლარი, ხოლო წარმატების ჰონორარი, სადავო თანხის 10 % უნდა გადაეხადა ადვოკატის მიერ საქმის მოგების შემდეგ.

7.16 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა საჩივრის ავტორის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ საქმის წარმოების დასრულებამდე. ამ დროისთვის ა. ქ.-ს უკვე გაწეული ჰქონდა საქმეზე ძირითადი შრომა: განსაზღვრა სამოქმედო სტრატეგია, სცადა მორიგება კლიენტის მოპასუხესთან, მოიპოვა მტკიცებულებები, მოამზადა განცხადება და შეიტანა საგამოძიებო ორგანოში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადვოკატს საქმის საჭიროებიდან მოუხდა ქ. ბათუმში ვიზიტი და რადგან კლიენტს არ ჰქონდა საშუალება, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მან თავად გასწია ტრანსპორტირების ხარჯები (დაახლოებით 200 ლარი). კოლეგიის შეფასებით, რადგან ადვოკატმა კლიენტის მომსახურება ვერ შეძლო კლიენტის ნებიდან გამომდინარე, მან ვერ მიიღო საქმეზე წარმატების ჰონორარი, შესაბამისად, გაწეული საქმის წარმოების ხარჯების გათვალისწინებით, ადვოკატს არ დაურღვევია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისიწნებული ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N051/19 ადვოკატ ა. ქ.-ს მიმართ /სიითი №// არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/